ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი
№5-6, სექტემბერ-ოქტომბერი 2018

„ჩემთვის დიდი პატივია მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება უნივერსიტეტს, რომელთანაც სტუდენტური წლები და სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს. განსაკუთრებით მინდა მივულოცო პირველკურსელებს, რომლებიც ცხოვრების იმ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე გადავიდნენ, რასაც უმაღლესი განათლება და სტუდენტობა ჰქვია.

განათლება და ახალგაზრდობა არის ჩვენი მთავრობის პრიორიტეტული მიმართულება. მჯერა, ის რეფორმა, რომელიც განათლების სისტემაში უნდა განხორციელდეს, ახალ თაობას კიდევ უფრო მაღალი ხარისხის განათლების მიღების შესაძლებლობას მისცემს.

ჩემთვის, როგორც აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარისთვის, უმნიშვნელოვანესია რეგიონის მთავარი საგანმანათლებლო კერა - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოირჩეოდეს როგორც თანამედროვე ინფრასტრუქტურით, ისე განათლების ხარისხითა და ხელმისაწვდომობით. ამ მიმართულებით ჩვენი მხარდაჭერა კვლავ გაგრძელდება.

მიხარია, რომ ახალ სასწავლო წელს ჩვენს რეგიონს ახალი საგანმანათლებლო დაწესებულებები შეემატება. განსაკუთრებით მახარებს ის, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს სულ მალე თანამედროვე სტანდარტების სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი ექნება.

კიდევ ერთხელ გილოცავთ სწავლის დაწყებას! თქვენ ხართ ჩვენი რეგიონისა და ქვეყნის მომავალი“!

თორნიკე რიჟვაძე, ა.რ. მთავრობის თავმჯდომარე

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 83-ე თაობის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ეტაპს უყრის საძირკველს, დღეს 1313 ახალგაზრდისათვის სტუდენტობის პერიოდი დაიწყო. თითოეულ პირველკურსელს მინდა ვუთხრა, რომ მათ ელოდება შინაარსიანი და საინტერესო სტუდენტური ცხოვრება. ჩვენს სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ საფუძვლიანი, კონკურენტუნარიანი განათლება, რომელიც მომავალში იქნება მათი წარმატებული მომავლის, პროფესიული და კარიერული ზრდის საფუძველი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ინტენსიურად ახორციელებს სასწავლო-სამეცნიერო და ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ბოლო პერიოდის განმავლობაში უნივერსიტეტში ბევრი რამ შეიცვალა, მეცნიერების ყველა მიმართულებით თქვენ მოგემსახურებათ განახლებული და უახლესი აპარატურით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები, ინოვაციების ცენტრი, განახლებული სასწავლო კორპუსები და ახალი, თანამედროვე სტანდარტების სტუდენტური საცხოვრებელი. ცვლილებებია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ელექტრონული მართვის სისტემებში, რაც კიდევ უფრო ეფექტურსა და ობიექტურს გახდის სასწავლო პროცესს. ასევე, გათვალისწინებულია არაერთი სტუდენტური პროექტის განხორციელება. ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია იმ დიდი გეგმებისა, რომელთაც სტუდენტების მონაწილეობით რეალობად ვაქცევთ.

მინდა, მივულოცო ჩემს უნივერსიტეტს, თითოეულ უნივერსიტეტელს სწავლის განახლება და ვუსურვო წარმატებული სასწავლო წელი“.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი მერაბ ხალვაში

„ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ სტუდენტებს, პედაგოგებსა და მშობლებს. განსაკუთრებულად კი მინდა მივულოცო პირველკურსელებს. ამ დღეს სრულიად ახალი ეტაპი იწყება, რომელსაც სტუდენტური ცხოვრება ჰქვია.

ჩვენი ქვეყნისთვის განათლება უპირველესი პრიორიტეტია. მინდა ყველა სტუდენტს ვუსურვო წინსვლა, განვითარება და სტუდენტური წლების ნაყოფიერად გამოყენება. ვუსურვებ ჩამოყალიბდნენ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად და გაემართლებინოთ იმედები, რომლებსაც მშობლები და ჩვენი ქვეყანა ვამყარებთ!

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას“!

ქალაქ ბათუმის მერი
ლაშა კომახიძე



აქ ჩვენი ქვეყნის მომავალია

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითოეულ სტუდენტს, ლექტორ-მასწავლებელს, თანამშრომელს გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას, წარმატებებსა და წინსვლას გისურვებთ.

განსაკუთრებით მინდა მივულოცო ცხოვრების ახალ საფეხურზე გადასვლა პირველკურსელებს, მათ, ვინც ზაფხულის საგამოცდო ციებ-ცხელების შემდეგ შეძლო მოეპოვებინა საოცნებო სტუდენტობა, რომელიც დასაწყისია თქვენი ცხოვრების ულამაზესი, განსაკუთრებული და დაუვიწყარი ნაწილისა.

მეამაყება, რომ ამ უნივერსიტეტის კედლებში გავატარე არა მხოლოდ სტუდენტური, არამედ ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი - პედაგოგიური საქმიანობის წლები. მეამაყება, რომ დღემდე ამ გუნდის წევრი ვარ და ვაგრძელებ სტუდენტებთან მუშაობას.

მინდა გახსოვდეთ, რომ აქ მოღვაწეობდნენ და დღემდე აგრძელებენ სამეცნიერო-აღმზრდელობით მუშაობას პროფესორ-მასწავლებელთა თაობები, რომლებმაც თავიანთი განსაკუთრებული კვალი დატოვეს ქვეყნისა და ჩვენი რეგიონის ცხოვრებაში. აქ იზრდებოდნენ და იზრდებიან თაობები, რომლებმაც სასიკეთოდ შეცვალეს არა თუ ადამიანების, არამედ აჭარისა და მთლიანად ქვეყნის ბედი.

უდავოა, რომ წინა თაობებისაგან განსხვავებით, თქვენ მეტი შესაძლებლობები გაქვთ. საერთაშორისო ურთიერთობები და ერთობლივი პროგრამები, რომლებშიც ჩვენი უნივერსიტეტი აქტიურადაა ჩართული, უცხოეთის საუკეთესო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა. სწორედ ამიტომ უნდა შეძლოთ ისარგებლოთ ამ სიკეთით, რაზეც არაერთი თაობა ოცნებობდა წლების განმავლობაში.

გახსოვდეთ!

თქვენთვის ყველა კარი ღიაა, მთავარია, მოინდომოთ და გადადგათ ნაბიჯი. იცოდეთ ამ კედლებისა და დროის ფასი, ვინაიდან აქ, სწორედ ამ კედლებში, ჩვენი ქვეყნის მომავალია“.

პატივისცემით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 83-ჯერ გაუღებს კარს სტუდენტებს და კიდევ ერთ ახალ სასწავლო წელს შეუდგება. საუკუნეზე მეტი ხნის წინ შავი ზღვის სანაპიროზე აშენებულ ამ ცოდნის ტაძარს, უფრო დიდი დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე მხოლოდ სასწავლო დაწესებულება. მას ეროვნული მნიშვნელობა მიენიჭა და ქვეყნისა და რეგიონის სიძლიერის სიმბოლოდ იქცა.

დღეს უნივერსიტეტი ღირსეულ ადგილს იჭერს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში და არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან. მან ღირსეულად აუწყო ფეხი თანამედროვე გამოწვევებს და ნერგავს იმ სტანდარტებს, რომლებიც ხარისხიანი განათლების საფუძველია.

ახალი სასწავლო წლის დაწყება მინდა მივულოცო პირველკურსელებს, ვინც წელს პირველად შედგამს ფეხს ამ ტრადიციულ სასწავლებელში. თქვენ იმ დიდი ისტორიის ნაწილი ხდებით, რომელიც წლების წინ დაიწყო და მინდა აქ გატარებული ოთხი წელი ნამდვილად იქცეს თქვენი ცხოვრების სათავედ, თქვენი წარმატებული მომავლის საძირკვლად.

მინდა მივულოცო ახალი სასწავლო წელი თითოეულ პროფესორს, მასწავლებელს, სტუდენტს, ადმინისტრაციის თითოეულ წარმომადგენელს, თითოეულ ადამიანს, რომლებიც სიყვარულით აკეთებენ თავის საქმეს და ვინც ღირსეულად მოიტანა უნივერსიტეტის დღევანდელობა და მის მომავალს ქმნის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ სასწავლო წელს და გისურვებთ ბევრ წარმატებას ქვეყნისა და ჩვენი კუთხის საკეთილდღეოდ“.

ინგა შამილიშვილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბსუ-მ წარმატებით გაიარა ავტორიზაცია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალ, 2018-2019 სასწავლო წელს ტრადიციულად, სიახლეებით იწყებს. ქვეყნის რეიტინგული უნივერსიტეტების სამეულის შემადგენელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხვდება. ბსუ-მ წარმატებით გაიარა ავტორიზაცია, დასრულდა რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია, რამდენიმეც - შეფასების პროცესშია. აღნიშნულ სიახლეებს უნივერსიტეტის რექტორი მერაბ ხალვაში აფასებს.

- ავტორიზაცია არის გარე შეფასების მექანიზმი, რომელიც ადგენს დაწესებულების თვითშეფასების შედეგების შესაბამისობას სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან. საკუთრივ ავტორიზაციის სტანდარტების მიზანია, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა და სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა.

უნივერსიტეტმა ავტორიზაციის საკმაოდ რთული გზა გაიარა. ამ პროცესს წინ უსწრებდა სამწლიანი აქტიური სამუშაოები. საქართველოს სამ უნივერსიტეტს შორის ერთერთმა ბსუ-მ გაიარა ავტორიზაციის საპილოტე რეჟიმი და ამ დროს მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები ძალიან დაგვეხმარა შემდგომ წარმატებაში, მათი რჩევები და რეკომენდაციები მაქსიმალურად გავითვალისწინეთ. სპეციალური სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით კოორდინირებულად მუშაობდა ყველა სტრუქტურა. უცხოელი და ქართველი ექსპერტების დასკვნაში უნივერსიტეტის ძლიერ მხარედ განისაზღვრა: განვითარების მაღალი შესაძლებლობა, მომავალზე ორიენტირება, რეფორმების კუთხით მუდმივი აქტიურობა, უნივერსიტეტის ხარჯ-ეფექტიანობის ზრდა, კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობა, სტუდენტური სერვისების განვითარება და მხარდაჭერა, ლაბორატორიებისა და კლინიკების გაფართოების მიზნით აქტიური და ინოვაციური მიდგომა.

უნივერსიტეტი განახლებული შვიდი სტანდარტისა და პროცედურის მიხედვით შეფასდა. 2011 წელთან შედარებით, შეცვლილი იყო მიმდინარე ავტორიზაციის სტანდარტები, ეს ბუნებრივიცაა. დღეს სხვა გამოწვევებია და რამდენიმე წლის წინ - სხვა იყო. ავტორიზაციის გასავლელად უფრო მეტი სტანდარტის დაკმაყოფილება მოგვიწია, თამასა იყო საკმაოდ აწეული. ადრე ფასდებოდა შემდეგი სამი სტანდარტით: მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ადამიანური რესურსები და საგანმანათლებლო პროგრამები. დღეს კი 7 სტანდარტია დადგენილი: დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა; ორგანიზაციულ სტრუქტურა და მართვა; საგანმანათლებლო პროგრამები; პერსონალი; სტუდენტებისა და მათი მხარდაჭერის ღონისძიებების; კვლევა, განვითარება და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა და მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები.

ექსპერტთა შეფასებით, შვიდი სტანდარტიდან სამში ბსუ-მ მიიღო უმაღლესი შეფასება

ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ექსპერტთა შეფასებით, შვიდი სტანდარტიდან სამში ბსუ-მ მიიღო უმაღლესი შეფასება, სამში - მაღალი, ხოლო ერთ სტანდარტში საშუალო შეფასება. ეს არის სამეცნიერო მიმართულება. მიეცა უნივერსიტეტს რეკომენდაციები, იზრუნოს ამ მიმართულების განვითარებაზე. საუბარია იმაზე, რომ კვლევები არ უნდა იყოს ფრაგმენტული, პროფესორ-მასწავლებელთა და მკვლევართა სამეცნიერო კვლევა-ძიება უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის პრიორიტეტებს და აუცილებელია ინსტიტუციური მიდგომა. უკვე ვმუშაობთ რეკომენდაციების შესრულებაზე, ეს გაცხადებულია უნივერსიტეტის მისიაში, სტრატეგიული განვითარების გეგმაში - სამეცნიერო საქმიანობა და მისი მხარდაჭერა უნივერსიტეტის პრიორიტეტია.

უნივერსიტეტმა ავტორიზაციის საკმაოდ რთული გზა გაიარა. ამ პროცესს წინ უსწრებდა სამწლიანი აქტიური სამუშაოები

სამეცნიერო მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით. უახლოეს მომავალში დასრულდება ფიტოპათოლოგიის და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მშენებლობა, უნივერსიტეტმა შიდა გრანტის წესი დააწესა მეცნიერთა მხარდაჭერისათვის და შემოიღო მივლინებების დაფინანსების წესი, რომელიც ითვალისწინებს მკვლევარებისა და პროფესორების სამეცნიერო მივლინების დაფინანსებას.

ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია. წარმატებით გაიარა თანამედროვე სტანდარტებით აკრედიტაცია რამდენიმე მათგანმა, კერძოდ, არქიტექტურისა და თარგმანმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამებმა, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულმა საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამამ და ბიოორგანული ქიმიის სადოქტორო პროგრამამ. ამ დროისათვის აკრედიტაციის პროცესშია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემდეგი ოთხი საბაკალავრო პროგრამა: მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო და საგადასახადო საქმე, ფინანსები.

სიახლის თვალსაზრისით, მინდა გამოვყო დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო 300-კრედიტიანი პროგრამა, რომელიც 2018-2019 სასწავლო წელს პირველად ამოქმედდება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მომზადდება I–IV კლასების საგანთა ჯგუფის და I–VI კლასების ქართულის, მათემატიკის ან ბუნებისმეტყველების მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულებების პრინციპების მატარებელი მასწავლებელი, რომელიც შეძლებს მოსწავლეთათვის არა მარტო მაღალი ხარისხის ცოდნის გადაცემას, არამედ ცვალებადი პროფესიული გარემოს გაცნობიერებას და თავის პროფესიულ საქმიანობაში გათვალისწინებას. კურსდამთავრებულს მიენიჭება განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი. იგი აღჭურვილი იქნება კვლევითი უნარებითაც და მზად იქნება უფროს მასწავლებლად მუშაობის დასაწყებად. კურსდამთავრებული, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დასაქმებას შეძლებს სხვა ტიპის სახელმწიფო, არასამთავრობო, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სტრუქტურებშიც.

საზაფხულო სკოლები ბათუმის უნივერსიტეტში

„ცოდნისა და აკადემიური კულტურის გაცვლა ჰუმანიტარულ სფეროში: ევროპა და შავი ზღვის აუზი, XVIII-XXI სს“

ამა წლის 14 აგვისტოდან 23 აგვისტოს ჩათვლით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობდა საზაფხულო სკოლას - ,,მულტილინგვიზმი და თარგმანის როლი ცოდნის გლობალიზაციაში“. სკოლა ჩატარდა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის - „ჰორიზონტი 2020“ პროექტის ჩ-შღ „ცოდნისა და აკადემიური კულტურის გაცვლა ჰუმანიტარულ სფეროში: ევროპა და შავი ზღვის აუზი, XVIII-XXI სს“ ფარგლებში (პროექტის ეროვნული კოორდინატორი ბსუ-ში - პროფ. მარინე არაშიძე). პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მარი კიური-სკლადოვსკას სამეცნიერო-საკვლევი ფონდის მიერ (პროექტის კოორდინატორებია - გრაცის უნივერსიტეტის პროფ. კარლ კასერი და ისტორიის დოქტორი დომინიკ გუტმეიერი). მასში საპროექტო კონსორციუმში მონაწილე უნივერსიტეტების დოქტორანტურისა და მაგისტრატურის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობდნენ საქართველოდან, უკრაინიდან. აზერბაიჯანიდან, მოლდოვიდან, რუსეთიდან, მაკედონიიდან და ბულგარეთიდან.

ათი დღის განმავლობაში ბსუ-ს პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები უცხოელ კოლეგებთან ერთად, თანამედროვე, მრავალეროვან საზოგადოებაში თარგმანის გამოწვევებზე მსჯელობდნენ, კერძოდ, იყო განხილული თარგმანის როლი მეცნიერების ჩამოყალიბებაში და მისი ცივილაზაციური მისია შავი ზღვის აუზის ქვეყნებისთვის.

საზაფხულო სკოლის მუშაობის ფორმატი ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი იყო, პროექტში მონაწილე პროფესორ-მასწავლებლებმა ინტერაქტიული ლექციები შესთავაზეს სტუმრებს: პროფ. მარინე არაშიძე - „თარგმანის როლი ცოდნის გლობალიზაციაში შავი ზღვის აუზის ქვეყნებში“, თამარ სირაძე - „მხატვრული თარგმანის როლი ცოდნის გავრცელებაში“, ასოც.პროფ. ნინო არაშიძე - „თარგმანი და კულტურათაშორისი კომუნიკაცია (ენა-კულტურა-მეცნიერება-თარგმანი)“ ასოც.პროფ. გიორგი მასალკინი - „თარგმანი და ფილოსოფია“, საზღვაო აკადემიიდან ლექციის წასაკითხად საზაფხულო სკოლაში იყო მოწვეული პროფ. ზურაბ ბეჟანოვი, რომელმაც გააცნო მსმენელებს თარგმანის სპეციფიკა პროფესიულ საქმიანობაში და გააზრებინა მათ თარგმანის როლი საზღვაო კომუნიკაციისთვის დამახასიათებელ ექსტრემალურ სიტუაციებში. საინტერესო პრეზენტაციით გამოვიდნენ ჩვენი სტუმრები: მაკედონიის ეროვნული ისტორიის პროფ. ბილიანა რისტოვსკა-ჟოსიფოვსკა თემით „ნათარგმნი ტექსტის როგორც პალიმპსესტის კულტურული და ისტორიული სპეციფიკა“, პიატიგორსკის პრომესორები სტავროს პარასტატოვი და ალა კონდრაშევა გამოვიდნენ თემით „სამეცნიერო თარგმანის როლი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში“.

ასევე, გამოცდილმა მთარგმნელებმა (თამარ სირაძე, ნანა მაზმიშვილი, ნინო არაშიძე, სტავროს პარასტატოვი) ჩაატარეს პრაქტიკული მუშაობა ჯგუფებსა და წყვილებში, სადაც დააფიქსირეს მხატვრული, სამეცნიერო და ტექნიკური თარგმანის თავისებურებანი, იმუშავეს სინქრონული და თანმიმდევრული თარგმანის უნარ-ჩვევების გაღრმავებაზე.

საზაფხულო სკოლის ორგანიზაციაში მიიღეს მონაწილეობა პროექტის წევრებმა, ბსუ-პროფესორებმა: თ. ფუტკარაძემ, ლ.თავდგირიძემ, ა. არძენაძემ, დ. დობორჯგინიძემ, მ.ლორიამ, ე.მაკარაძემ. კარგად იყო ორგანიზებული კულტურული პროგრამა (ლელა ბოლქვაძე, ია ხასაია, ლალი ტუნაძე).

საზაფხულო სკოლის თითოეულ მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი.

პროექტის ეროვნული კოორდინატორი ბსუ-ში პროფ. მარინე არაშიძე

„ევროკავშირის სამართალი და ევროინტეგრაცია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“

თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში სამხრეთ კავკასიის რეგიონი ცდილობს თავისი ინტეგრაცია მოახდინოს ერთიანი ევროპის დიდ სივრცეში და ამით ამ რეგიონის მოსახლეობას სურს ეზიაროს იმ ფასეულობებს და სიკეთეებს, რომელიც ევროკავშირში უკვე მყარად არის დამკვიდრებული. საქართველომ, როგორც ამ რეგიონის ლიდერმა სახელმწიფომ ევროპული ინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ასოცირების ხელშეკრულების ხელის მოწერით, თავისუფალი ვაჭრობისა თუ თითქმის ორი წელია

მოპოვებული ვიზა ლიბერალიზაციით, რაც საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობას აძლევს.

ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ პროცესით განპირობებული გამოწვევების ცოდნას კავკასიის რეგიონისთვის. სწორედ ამ მიზნით ბათუმის უნივერსიტეტის ბაზაზე წელს უკვე მეექვსედ 27 ივლისიდან 3 აგვისტომდე ინგლისურ ენაზე გაიმართა საზაფხულო სკოლა სახელწოდებით ,,ევრო კავშირის სამართალი და ევროინტეგრაცია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში''.

საზაფხულო სკოლა წარიმართა ევროკავშირის ევრო კავშირის ჟან-მონეს გრანტის ფარგლებში „გაერთიანება ევროპათმცოდნეობის სწავლების განვითარებისა სამხრეთ კავკასიის რეგიონში“. წლევანდელი საზაფხულო სკოლის ორგანიზატორი ბათუმის უნივერსიტეტთან ერთად იყო უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის კიევის სამართლის უნივერსიტეტიც.

სკოლაში სულ მონაწილეობა მიიღო ოცდაოთხმა სტუდენტმა მსოფლიოს 6 ქვეყნიდან: საქართველო, აზერბაიჯანი, უკრაინა,ყაზახეთი, რუსეთი და იტალია. ლექციები წაიკითხეს მაღალი კვალიფიკაციის და ევროკავშირთან ურთიერთობების პრაქტიკული გამოცდილების მქონე ლექტორებმა და ექსპერტებმა, ავსტრიიდან, საქართველოდან, ლიტვიიდან და უკრაინიდან.

სკოლის ფარგლებში განხილული იქნა რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით ევროინტეგრაციის პრობლემები, მიღწეული წარმატებები და სამომავლო გამოწვევები. აუცილებელია აღინიშნოს, რომ საზაფხულო სკოლაში გასული წლის მსგავსად წელსაც აქტიურად იყო ჩართული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი დავით გაბაიძე. გახსნის დღეს ის მიესალმა საზაფხულო სკოლის სტუდენტებს, ხოლო დახურვის დღეს საზაფხულო სკოლა მიიპატიჟა უზენაეს საბჭოში, სადაც წაიკითხა ლექცია რეგიონალურ პოლიტიკაზე ევროინტეგრაციის ჭრილში.

საზაფხულო სკოლის დახურვაში ბათუმის შოთა რუსთაველის იურიდიული ფაკულტეტის დეკან ადამ მახარაძესთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ამავე უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, პროფესორმა თამარ სირაძემ და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის კიევის სამართლის უნივერსიტეტის რექტორმა იური ბოშიცკიმ. ქალბატონმა თამარ სირაძემ მადლობა გადაუხადა ევროკავშირს, როგორც დონორ ორგანიზაციას შესაბამისი დაფინანსების გამოყოფისათვის და აღნიშნა, რომ საზაფხულო სკოლებმა ჩვენთან ტრადიციული ხასიათი მიიღო და აუცილებელია ეს სკოლები გაგრძელდეს მომავალშიც. იური ბოშიცკიმ კი აღნიშნა, რომ ის მოხარულია საზაფხულო სკოლაშითავისი უნივერსიტეტის თანაორგანიზატორობით და უკრაინელი სტუდენტების მიერ მიღებული ცოდნით, რადგან ის პოზიტიურად აისახება საკუთარი ქვეყნის უკრაინის ევროინტეგრაციის გზაზეო. მან ასევე აღნიშნა, რომ მსგავსი ღონისძიებები მიზანშეწონილია გაიმართოს უკრაინაშიც და ის მზად არის 2019 წლის თებერვლის თვეში უმასპინძლოს საზამთრო სკოლას თავისი უნივერსიტეტის ბაზაზე. წელს გამართულმა საზაფხულო სკოლამ, როგორც ჩას სამომავლო საფუძველი დაუდო ახალი გაერთიანებული ძალებით საერთაშორისო საზაფხულო თუ საზამთრო სკოლების წარმართვას.

(გაგრძელება მე-8გვ.)

2018 წლის 25-29 ივნისს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტს სტუმრობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ნორვეგიის უნივერსიტეტის (USN) და ყირგიზეთის პარტნიორი უნივერსიტეტების დელეგაციები, რომლებმაც საზაფხულო სკოლის „სოფლად ტურიზმის მდგრადი განვითარება“ მუშაობაში მიიღეს მონაწილეობა.

საზაფხულო სკოლა პროექტის ,,მდგრადი ტურიზმი: სოფლად მეწარმეობა და კულტურული მემკვიდრეობა“ ფარგლებში გაიმართა.

საზაფხულო სკოლის მუშაობაში ასევე მონაწილეობდნენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ბათუმის საზღვაო აკადემიის პროფესორები და სტუდენტები.

საზაფხულო სკოლის ფარგლებში წარმოდგენილი იყო პროფესორ-მასწავლებლების მოხსენებები და სტუდენტების ჯგუფური პრეზენტაციები, რომლებიც მიეძღვნა სოფლად ტურიზმის მდგრად განვითარებას.

არსებული საგანმანათლებლო პროექტი ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციას, ერთობლივი სტუდენტური პროექტების განხორციელებას და უცხოური გამოცდილების გაზიარებას.

საზაფხულო სკოლის მონაწილეებმა აჭარის ტურისტული პოტენციალიც გაიცნეს.

განახლებული ინფრასტრუქტურა ახალი სასწავლო წლისთვის

განახლებული სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, გარემონტებული პირველი კორპუსი, ახალი სტუდენტური კაფე, ახლადდამონტაჟებული ლიფტი, მშენებარე კორპუსი და კიდევ სხვა მრავალი სამომავლო იდეა და პერსპექტივა - ეს ის ჩამონათვალია, რაც ახალი სასწავლო წლისთვის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ელის. სწორედ ამ საკითხებზე გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტს“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ბატონი ჯემალ ანანიძე ესაუბრება.

— ბატონო ჯემალ, გაზეთის წინა ნომერში თქვენ ისაუბრეთ ჩვენს უნივერსიტეტში მიმდინარე მშენებლობებზე. რა ეტაპზეა აღმშენებლობითი სამუშაოები ამჟამად?

— დღეისათვის უნივერსიტეტში მიმდინარეობს სამი ახალი ობიექტის მშენებლობა. ეს ობიექტებია: ბათუმში ლეონიძის ქუჩაზე სტუდენტთა საცხოვრებლისა და სასწავლო კორპუსის მშენებლობა, ქობულეთში კაიკაციშვილის ქუჩაზე კვლევითი ინსტიტუტის კორპუსის მშენებლობა. გარდა ამისა მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში, რომელიც მთლიანად დასრულდება მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს. აღნიშნულის გამო ზოგიერთ ფაკულტეტზე სასწავლო წელი დაიწყება 8 ოქტომბრიდან.

— სტუდენტებისთვის ძალზედ აქტუალურია საერთო საცხოვრებლის საკითხი....

— რაც შეეხება სტუდენტთა საცხოვრებელს, მშენებლობა უნდა დასრულებულიყო მიმდინარე წლის 20 სექტემბერს. თუმცა შეიქმნა ტექნიკური ხარვეზები, დროულად ვერ მივიღეთ ცალკეული კომუნალური სამსახურების მხრიდან დენის, წყლის მოწოდება, მოხმარებული წყლების სისტემის ჩართვის პროექტები, რის გამოც ვერ ხერხდება სამუშაოთა დასრულება. მიმდინარე ეტაპზე უკვე სრულდება კომუნალური მომსახურეობის ორგანიზაციებიდან საბოლოო ნებართვების მიღება, თუმცა ყოველივე ამ შემაფერხებელი ფაქტორების გამო, საცხოვრებლის მშენებლობის დასრულების ვადა გადაიწია მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლომდე. ამის პარალელურად მიმდინარეობს საცხოვრებელში ცხოვრების,



საფასურის გადახდის და სხვა სახის რეგულაციების პროექტების მომზადება, რომელსაც ოქტომბრის თვეში დაამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული საბჭო. აქვე განსაზღვრული იქნება შეღავათები, მაქსიმალურ მობინადრეთა რაოდენობა და შესაძლებელია ასევე, ფაკულტეტების მიხედვით განისაზღვროს სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის ლიმიტები, რათა მხოლოდ ერთი ფაკულტეტის სტუდენტები არ განთავსდნენ იქ. ამასთან საცხოვრებელში გარკვეული ფართი დაეთმობა მოწვეულ ლექტორებს, სამეცნიერო პერსონალს და ასევე გაცვლითი პროგრამებით თუ სხვა ფორმით ჩვენს უნივერსიტეტში მყოფ სტუდენტებს. უკვე მიმდინარეობს ავეჯის შესყიდვაც. ამდენად, უკვე ნოემბრის თვიდან უნივერსიტეტში სრული დატვირთვით დაიწყებს ფუნქციონირებას ახალი საცხოვრებელი, რომელიც მოემსახურება 150 სტუდენტს.

— როგორც ვიცით, პარალელურად ზღვისპირა კორპუსშიც მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. ამასთან დაკავშირებით რას გვეტყვით...

— უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მიმდინარეობს სრული რეაბილიტაციის სამუშაოები. მიმდინარე წელს, ამავე კორპუსში დასრულდა ბიბლიოთეკის მოდერნიზაცია, ასევე ცალკეული ფართის აღდგენა. ამ ეტაპზე სარემონტო სამუშაოები შეეხო მთლიანად ყველა დარჩენილ ფართს, რომელიც უკვე დასრულდება ოქტომბრის დასაწყისში. ეტაპობრივად განხორციელდება ამავე კორპუსში ინვენტარის განახლებაც. ამავე კორპუსში რეაბილიტაციის ფარგლებში დაგეგმილია გარკვეულწილად ძველი იერსახის აღდგენა, ესაა პირველ და მეორე სართულებზე ბუხრის მაკეტი. მას ბუნებრივია უკვე ვერ ექნება პირვანდელი ფუნქცია, ექნება მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა.

— უნივერსიტეტის ეზოში შემოსვლისთანავე თვალში საცემია რუსთაველის ქუჩაზე მდებარე კორპუსზე ახლადდამონტაჟებული ლიფტი, რაც უდავოდ მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო ცხოვრებისთვის. რას გვეტყვით ამის შესახებ - რომელმა კომპანიამ განახორციელა ლიფტის მონტაჟი და ფინანსურად რამდენი ლარი დაიხარჯა?

— ლიფტის დამონტაჟება სავალდებულო მოთხოვნაა ადაპტირებული გარემოს შექმნის მიზნით, რომლითაც ისარგებლებს ყველა მსურველი. არსებული ლიფტი გათვლილია პირველ რიგში სპეციალური ეტლით მოსარგებლე პირებზე, რისთვისაც მთლიანად ლიფტი, მისი ინფრასტრუქტურა განსხვავებული პარამეტრებისაა. იგი ფაქტობრივად, კაბინის ჩათვლით პანორამულია, რაც ერთგვარად უფრო მეტი ეფექტის მატარებელია. გარემოს გაუმჯობესების მიზნით ასევე დავამონტაჟეთ ორი ერთეული ელექტრო პანდუსი, რომელიც საშუალებას მიცემს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს ისარგებლონ მეორე კორპუსის ნულოვან სართულზე განთავსებული კაფით და ასევე პირველ და მეორე კორპუსებში გადასვლის სურვილის შემთხვევაში. მშენებლობები განახორციელა კოპანია „გლობალლიფტმა“, რისთვისაც დაიხარჯა დაახლოებით 210 000 ლარი.

— განახლებულ სივრცეში აგრძელებს ფუნქციონირებას სტუდენტური კაფე...

— ჩვენი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის სტუდენტური კაფის გაფართოებას, მის ადგილმონაცვლეობას ახალ სივრცეში. აქვე განთავსდება ლიტერატურული კაფეც სათანადო გარემოში. კაფემ ფუნქციონირება დაიწყო უკვე მიმდინარე წლის ივნისიდან, თუმცა ზაფხულის პერიოდში ეროვნული გამოცდების მიმდინარეობის გამო, ვერ მოხერხდა მისი სრული განვითარება. ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს მომსახურეობის დამატებითი აღჭურვილობების დამონტაჟებაც, ხოლო მომავალ ერთ

თვეში დაემატება ახალი სივრცეც, რადგანაც გაზრდილ მოთხოვნას უკვე ვერ პასუხობს არსებული ფართი.

— რამდენად სრულყოფილად ასრულებენ სამშენებლო კომპანიები დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს? ხომ არ გამოკვეთილა კონკრეტული პრობლემა (ხარისხი, დრო)...

— მთლიანობაში მიმდინარე წელს სამშენებლო კომპანიები კეთილსინდისიერად ასრულებენ სამუშაოებს, უმნიშვნელო შეფერხება დაფიქსირდა ლიფტის სამონტაჟო სამუშაოებში, სადაც სამუშაო დასრულდა 15 დღის დაგვიანებით, რის გამოც მოხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული იძულებითი ვალდებულებების (ჯარიმის) განხორციელებაც.

— ბატონო ჯემალ, ხომ არ იგეგმება უნივერსიტეტის შიდა ეზოს მოწესრიგება?

— რაც შეეხება ეზოს მოწესრიგებას, მისი რეაბილიტაცია დაგეგმილია მომავალ წლის ბიუჯეტით. პირველ რიგში შემუშავდება პროექტი. სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად შეიცვლება ეზოს არსებული იერსახე, მას მიეცემა რეკრეაციული დანიშნულებაც, გაჩნდება მწვანე საფარიც, რაც კიდევ უფრო გაუმჯობესებს ფუნქციურად და ესთეტიურად ეზოს დატვირთვას. მომავალ წელს ასევე დაგეგმილია ლეონიძის ქუჩაზე სპორტული კომპლექსების მშენებლობა, ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. თუმცა მომავალი წლის ინფრასტრუქტურული პროექტები დაკავშირებული იქნება მომავალი წლის ბიუჯეტის ფორმირებაზე. უკვე მიმდინარეობს მისი დაზუსტება, რაც საბოლოოდ ცნობილი იქნება მიმდინარე წლის ნოემბრის თვიდან.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წელი დაიწყო. პირველკურსელები ცვლილებების მოლოდინში არიან, წინ სწავლების სრულიად ახალი სისტემა და გარემო ელოდებათ. ნინო ვარშანიძე მომავალი ბიოლოგია, დავით ფუტკარაძე საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობაზე ჩაირიცხა, ხოლო რამინ დუმბაძე ბავშვობიდან ექიმის პროფესიით იყო დაინტერესებული და არც შედეგმა დაა-ყოვნა. ისინი უმაღლეს სასწავლებელში 70%-იანი დაფინანსებით ჩაირიცხნენ. საინტერესოა რატომ გააკეთეს ახალგაზრდებმა არჩევანი ბსუ-ზე, რა იცოდნენ მათ სასწავლებლის შესახებ და რა მოლოდინები აქვთ.

ნინო ვარშანიძე
ბიოლოგიის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი

რატომ ბსუ?

ნინო ვარშანიძე

„აბიტურიენტობის დროს მოვიძიე ინ-ფორმაცია, გავესაუბრე ჩემი ფაკულტეტის სტუდენტებს, გავიგე ჩემთვის რის მოცემა შეუძლია უნივერსიტეტს. ყოველივე ამან დიდი როლი ითამაშა გადაწყვეტილების მი-ღებაზე. ბათუმის სახელმწიფო უნივერისტეტ-ი გამოირჩევა სწავლების ხარისხით, თანა-მედროვე ტექნოლოგიებით, კარგი ინფრას-ტრუქტურით, სტუდენტებს საშუალებას გვაძლევს ლაბორატორიებში პრაქტიკულად განვახორციელოთ თეორიულად ნასწავლი მასალა. ალბათ ყველასთვის ცნობილია, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში წამყვან ად-გილზეა გაცვლითი პროგრამების რაოდენო-ბით და ვიმედოვნებ, ახლო მომავალში ჩემი შრომითა და მონდომებით ერთ-ერთი გაც-ვლითი პროგრამის მონაწილეც გავხვდები. ასევე ბუნებრივია, უნივერსიტეტის არჩე-ვისას დიდი როლი ითამაშა უნივერსიტეტის მდებარეობამ, ვინაიდან და რადგანაც ბა-თუმში ვცხოვრობ, ჩემთვის ხელსაყრელი იყო მშობლიურ ქალაქში სწავლა“.

დავით ფუტკარაძე

„ჩემი ძალიან ბევრი მეგობარი სწავლ-ობს ბსუ-ში. ზოგიერთი თვითმმართველო-ბაშია ჩაბმული, ზოგი სპორტულ წრეებში. ერთ-ერთი გაცვლითი პროგრამითაც იყო წასული საზღვარგარეთ. ვიცი, რომ არიან ძალიან მეგობრული ლექტორები, ასევე სპორტული მწვრთნელები. რემონტი კეთ-დება და ლიფტიც მოგვემსახურება მგონი. უნივერსიტეტის ყოველწლიური პროგრე-სიც შესამჩნევია, ინფრასტრუქტურაც თან-დათან უფრო მიმზიდველი ხდება. თან ჩემს სახლთან ახლოსაა“.

რამინ დუმბაძე

„ბევრი ჩემი ნაცნობი ბსუ-ში სწავლობს. რა თქმა უნდა, ბევრი რამ მსმენია მის შე-სახებ. კარგი გარემო, მაღალკვალიფიციური პროფესორები და გეოგრაფიული მდება-რეობა გახდა მიზეზი იმისა, რომ ამერჩია ეს უნივერსიტეტი. ვიცი, რომ კარგი სწავლე-ბაა, ყველანაირად ცდილობენ ლექტორები დაეხმარონ სტუდენტებს თავიანთი ცოდნის რეალიზაციაში. ასევე მსმენია, რომ ბსუ სა-ქართველოს მასშტაბით მესამე ადგილზეა გაცვლითი პროგრამების მხრივ“.

არჩეული პროფესია

რამინ დუმბაძე

„როდესაც ფიქრი დავიწყე პროფესიის არჩევაზე, რაც უნდა ბევრი მეფიქრა, ბოლოს მაინც ექიმობამდე მივდიოდი. თავიდან-ვე კარგად ავითვისე საბუნებისმეტყველო საგნები, რამაც უფრო და უფრო გააღვივა სურვილი, დავუფლებოდი ამ ძალზედ რთულ პროფესიას“.

დავით ფუტკარაძე

„შემიძლია გამართულად საუბარი, მო-მწონს ოფიციალური შეხვედრები და კონფე-რენციები, ასევე ვფლობ რამდენიმე უცხო ენას, რაც დიპლომატისთვის აუცილებე-ლია“.

ნინო ვარშანიძე

„ალბათ გაგიგიათ შემთხვევები, როცა მოსწავლეების საგნისადმი სიყვარული ან სიძულვილი მასწავლებლის დამსახურებაა. რაც არ უნდა ბანალურად ჟღერდეს, ჩემ შემ-თხვევაშიც ასე მოხდა. ბიოლოგია ძალიან მი-ყვარდა და გამიმართლა, არაჩვეულებრივი მასწავლებელიც შემხვდა. მასწავლებელთან ერთად არაერთხელ მიმუშავია ლაბორატო-რიაში ჩემთვის საინტერესო თემებზე, რამაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, თუ რატომ ავირჩიე ჩემი სამომავლო პროფესია. ვფი-ქრობ ბიოლოგია სამომავლო სპეციალობებს შორის ყველაზე პერსპექტიული და საჭირო პროფესიაა, რომელიც ყოველთვის უნდა ვი-თარდებოდეს. მესმის თუ რაოდენ მნიშვნე-ლოვანია ჩემი არჩევანი ჩემი მომავლისთვის და ვიმედოვნებ, მომავლის იმედები არ გამი-ცრუვდება“.



დავით ფუტკარაძე
საერთაშორისო ურთიერთო-ბების სპეციალობის პირველი კურსი სტუდენტი

მოლოდინები

დავით ფუტკარაძე

„ველოდები ძალიან მხიარულ, ხალისიან, წარმატებულ სტუდენტურ წლებს, ახალ მეგობრებს, საინტერესო ექსკურსიებსა და სპორტულ ღონისძიებებს“.

ნინო ვარშანიძე

რა თქმა უნდა, ჩემი მოლოდინები დი-დია. ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტი იმედებს გამიმართლებს, დამეხმარება დასახულის მიღწევაში და ჩამომაყალიბებს პროფესიო-ნალ სპეციალისტად“.

რამინ დუმბაძე

„ძალიან დიდი მოლოდინები მაქვს. რა-ტომღაც დარწმუნებული ვარ, ეს უნივერ-სიტეტი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ კარგი სამედიცინო განათლება მივიღო და ჩამოვყალიბდე მაღალკვალიფიციურ, პროფესიონალ ექიმად. ამისათვის კი თეო-რიასთან ერთად ხშირი პრაქტიკული სამუ-შაოებია საჭირო სხვადასხვა კლინიკასა თუ საავადმყოფოში“.

სკოლიდან უნივერსიტეტამდე – ცვლილებების დროა

ნინო ვარშანიძე

„არასდროს ვყოფილვარ ცვლილებების მოწინააღმდეგე. პირიქით, ვფიქრობ, რომ ცვლილებები აუცილებელია და ყოველი ახა-ლი წინ გადადგმული ნაბიჯი გვაახლოებს მიზანთან. ყოველივეს დიდი სიხარულით შევყურებ, არაფერზე ვნერვიულობ და ველი ცხოვრების ახალ საინტერესო ეტაპს, რომე-ლიც ალბათ გამოწვევებით იქნება აღსავსე“.

რამინ დუმბაძე

„ძალიან ამაღელვებელია ის ყველაფე-რი, რასაც უნდა შევეჭიდო. მიხარია, რომ ახალ ადამიანებს გავიცნობ. რაც შეეხება სწავლების ახალ, სკოლისგან განსხვავებულ სისტემას, ძალიან დადებითი და პოზიტიური დამოკიდებულება მაქვს მის მიმართ“.

დავით ფუტკარაძე

„ნერვიულობით არაფერზე არ ვნერვიუ-ლობ, უნივერსიტეტის დაწყებას და ფეხბურ-თის გუნდში შესარჩევ თამაშს ველოდები დიდი სიხარულით. ძალიან დადებითად ვარ დამუხტული“.

სტუდენტური ცხოვრება და გეგმები

ნინო ვარშანიძე

„სტუდენტური ცხოვრება აკადემიური თვალსაზრისით მეტად დატვირთული და შრომატევადია, თუმცა ვფიქრობ, რომ გარ-და სწავლისა, აუცილებელია განტვირთვის-თვის დროის გამონახვა. სწორედ ამიტომ, პირველივე კურსიდან ვაპირებ აქტიურად ჩავერთო სხვადასხვა სპორტულ-შემეცნე-ბით აქტივობაში, მონაწილეობა მივიღო ინ-ტელექტუალურ ღონისძიებებში და გავხდე აქტიური სტუდენტი“.

დავით ფუტკარაძე

„როგორც უკვე ვახსენე, მინდა ფეხბურ-თის გუნდში თამაში. არ იქნებოდა ცუდი მუსიკალური ბენდი, მაგრამ ორივე ერთად დიდი ალბათობით არ მოხერხდება“.

რამინ დუმბაძე

„ძალიან გამიხარდება, თუ იქნება წიგნის კითხვის მოყვარულთა კლუბი, სადაც ლიტე-რატურის მოყვარული სტუდენტები საინტე-რესო ინფორმაციას გაცვლიდნენ ამა თუ იმ წიგნის წაკითხვის შემდეგ და მიღებულ შთა-ბეჭდილებაც გაუზიარებდნენ ერთმანეთს“.

პირველკურსელებისთვის მნიშვნელო-ვანია ზუსტად იცოდნენ რა ელოდებათ წინ, რა გაითვალისწინონ, რომელ გამოწვევებს როგორ უპასუხონ. ეს კი ყველაზე მარტივად შეიძლება გაიგონ სხვების გამოცდილები-დან. ნინო ბარამიძე, ფსიქოლოგიის სპეცია-ლობის კურსდამთავრებული და სამართალ-მცოდნეობის მეორე კურსის სტუდენტი გია ჩხაიძე საუბრობენ უნივერისტეტში გატარე-ბულ წლებზე, პირველკურსელებს აძლევენ საჭირო რჩევებსა და რეკომენდაციებს.

რატომ ავირჩიე ბსუ

გია ჩხაიძე

„აბიტურიენტობის დროს, ბსუ-ზე არ-ჩევანი გავაკეთე რამდენიმე გარემოების გამო. პირველ რიგში, ბსუ ერთ-ერთი მოწი-ნავე უნივერსიტეტია ჩვენს ქვეყანაში, სა-დაც იურიდიული ფაკულტეტი მიმზიდველია სტუდენტებისთვის. ასევე, ჩვენი უნივერსი-ტეტის სტუდენტებს შეუძლიათ საზღვარგა-რეთ ცოდნის გაღრმავების მიზნით მიიღონ მონაწილეობა უამრავ გაცვლით პროგრამა-ში“.

რა ვიცოდი ბსუ-ზე, სანამ სტუდენტი გავხდებოდი

ნინი ბარამიძე

„ბსუ-ს შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი, მაგრამ მოლოდინი მქონდა, რომ საინტერე-სო წლები მელოდებოდა წინ, საბოლოოდ რეალურმა სურათმა მოლოდინს გადააჭარ-ბა“.

გია ჩხაიძე

„სანამ ბსუ-ს სტუდენტი გავხდებოდი, დაახლოებითი წარმოდგენა მქონდა უნივე-რისტეტის შესახებ. ვიცოდი, თუ გავაგრ-

გია ჩხაიძე
სამართალმცოდნეობის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტი

ძელებდი აქტიურ სამოქალაქო მოღვაწეობას, სტუდენტური ცხოვრება არ იქნებოდა ხელისშემშლელი ფაქტორი, უნივერსიტეტი კი - ხელს შემიწყობდა დასაქმებაში“.

მოლოდინი და რეალობა

ნინი ბარამიძე

„მოლოდინი ძალიან დიდი მქონდა და მიხაია, რომ გამართლდა და არასდროს მინანია ბსუ-ში ჩაბარება. ბსუ-ს სწავლის ხარისხში, რა თქმა უნდა, არის ხარვეზები, მაგრამ მომწონს ის, რომ ყველა სტუდენტის აზრი გათვალისწინებულია და ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ხარისხიანი და კარგი განათლება მისცეს უნივერსიტეტმა სტუდენტებს. მე პირადად დასაქმებაში ბსუ ძალიან დამეხმარა. ბსუ-ს ფსიქოლოგიის კლინიკასა და ძალადობის ცენტრში გავლილმა სტაჟირებებმა დიდი როლი ითამაშა პრაქტიკული უნარების განვითარებაში. დღეს უკვე, უნივერსიტეტის დასრულებიდან სამ თვეში, საკუთარი პროფესიით ვმუშაობ. ვფიქრობ, რომ ეს ნამდვილად ბსუ-ს და ჩემი ფაკულტეტის დამსახურებაა“.

გია ჩხაიძე

„სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ მქონდა მოლოდინი, რომ ჩემს ცხოვრებაში იწყებოდა ახალი ეტაპი. ეს ეტაპი დატვირთული იქნებოდა სიახლეებით, გამოწვევებით, საინტერესო მომენტებით. ახალ გარემოში და ახალი ადამიანების გარემოცვაში მომიწევდა ყოფნა და შესაბამისად, მარტივად უნდა გამევლო ადაპტაცია.

ბსუ-ში სწავლის დაწყებისთანავე მოვიხიბლე უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით, თბილი გარემოთი, ბიბლიოთეკითა და კვალიფიციური ლექტორებით, რომლებიც ცდილობდნენ სასწავლო პროცესი გაეხადათ მაქსიმალურად მორგებული სტუდენტებისთვის.

ვფიქრობ, რომ ჩემი მოლოდინი ნაწილობრივ გამართლდა. მიმაჩნია, რომ დრო არის საჭირო დარჩენილი მოლოდინების გასამართლებლად. ვისურვებდი, პროგრესი ამავე ტემპით გაგრძელებულიყოს, გატარებულიყოს ყველა საჭირო რეფორმა, გვქონოდეს ინოვაციური პროექტები და უფრო მეტი წარმატებისთვის მიეღწიოს ბსუ-ს“.

რჩევები პირველკურსელებს

გია ჩხაიძე

„მათთვის იწყება ცხოვრების ახალი ეტაპი, შესაბამისად ცვლილებებს უნდა შეხვდნენ პოზიტიურად. სტუდენტური ცხოვრება დატვირთულია სიძნელეებითა და გამოწვევებით.

სასურველია, აქტიური სტუდენტები იყვნენ, ჩაერთონ პროექტებში, განვითარდნენ პიროვნულად და პროფესიულად. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია, სტუდენტური პორტალის არსებობა, სადაც დარეგისტრირების შემთხვევაში სტუდენტებს ექნებათ ინფორმაცია ყველა იმ აქტივობების შესახებ, რომლებიც დაიგეგმება ჩვენს უნივერსიტეტში“.

ნინი ბარამიძე

„უკვე პირველკურსელებს ვურჩევ, რომ იყვნენ ძალიან თავდაჯერებულები და მონდომებულები, არასდროს არ დაეზაროთ აქტივობებში მონაწილეობის მიღება, ძალიან დიდი ყურადღება მიაქციონ სწავლას, რადგან ბსუ ნამდვილად აძლევს სტუდენტებს ხარისხიან განათლებას და აუცილებლად მიიღონ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში“.

ნინი ბარამიძე
ფსიქოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებული

სტუდენტური ცხოვრება სასკოლო სისტემისგან რადიკალურად განსხვავებულია. პირველკურსელთათვის უცნობია შეფასების სისტემა, ელექტრონული პლატფორმები. მათთვის მნიშვნელოვანია, იცოდნენ თავიანთი უფლებები და მოვალეობები, უნივერსიტეტში მიმდინარე სიახლეები, ვის მიმართონ დახმარებისთვის და რა მომსახურებით შეუძლიათ ისარგებლონ.

ზემოთ ხსენებულ საკითხებზე საუბრობს სტუდენტების კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **მერაბ ღიასამიძე**.

პირველ რიგში მინდა, ჩვენს პირველკურსელებს მივულოცო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის უფლების მოპოვება. აქვე მინდა, აღვნიშნო და მივულოცო, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიმდინარე წელს სამეულშია რეიტინგების მიხედვით. თამამად შეგვიძლია ვუთხრათ მათ, რომ ისინი სწავლას გააგრძელებენ მაღალი რეიტინგის მქონე უნივერსიტეტში, რომელმაც წარმატებით გაიარა ექვსწლიანი ავტორიზაცია და პასუხობს ყველა იმ გამოწვევას, რომელიც ტექნოლოგიების და ზოგადად საზოგადოების განვითარებას მოჰყვა.

ბსუ პირველკურსელებისთვის

რეგისტრაციისას ჩვენ დავაკვირდით, რომ პირველკურსელების უმეტესობა არასრულწლოვანია. გარკვეულად რთული პერიოდი აქვთ: ისინი შემოდიან უნივერსიტეტში, ხდებიან სრულწლოვანი, სკოლის რეალობიდან გამოდიან და უკვე სტუდენტურ ცხოვრებას იწყებენ, მათ მიმართ იზრდება მოთხოვნები საზოგადოების მხრიდან. ამ გარდამავალ პერიოდში მათ უნივერისტეტთან

მიმართებაში დიდი მოლოდინი აქვთ და ჩვენ მზად ვართ ეს იმედები გავუმართლოთ. ბათუმის სახელმწიფო უნივერისტეტის წარმატებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ სისტემურად ცვლის სტუდენტურ სერვისებს. 2018 წლიდან ყველა სერვისის მიღება ერთი ფანჯრიდანაა შესაძლებელი. ჩვენი სამსახური მზადაა ნებისმიერ დროს სტუდენტებს გაუწიოს დახმარება და ეს იქნება ძირითადი რგოლი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ტიპის ინფორმაციის გაცემას სტუდენტებზე. ჩვენი ოფისი სტუდენტებისთვის მარტივად ხელმისაწვდომია და განთავსებული იქნება რუსთაველის ქუჩაზე მდებარე კორპუსის პირველი სართულის ფოიეში.

სტუდენტთა გამარტივებულ სერვისები

უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე, 2018 წლიდან ყველა ტიპის სერვისი ერთ სივრცეში გავაერთიანეთ. ჩვენი მიზანია გავამარტივოთ სტუდენტების მომსახურება, იგულისხმება როგორც პროცედურების, ასევე სისწრაფის გაუმჯობესება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ იუსტიციის სახლის მუშაობის მსგავს პრინციპზე გადავდივართ. აქამდე არსებობდა ელექტრონული მართვის სისტემა, იგულისხმება ელექტრონული ჟურნალი და სტუდენტური პორტალი, რომლებიც ცალცალკე დამოუკიდებელ პლატფორმას წარმოადგენდნენ, მაგრამ პირველი ოქტომბრიდან მათ გავაერთიანებთ. სტუდენტებს გაცილებით გაუმარტივდებათ ყველა ტიპის სერვისის მიღება, ეს ეხება როგორც აკადემიურ და ადმინისტრაციულ რეგისტრაციას, ასევე სპორტულ და კულტურულ წრეებში გაწევრიანებას. დამატებით სტუდენტს შეუძლია ავტომატურად გენერირებადი ცნობის, სასწავლო ბარათის მიღება.

უკვე ნახსენებ ცვლილებებთან ერთად, იგეგმება საბიბლიოთეკო რესურსების სტუდენტურ პორტალთან დაკავშირება, რაც გაამარტივებს წიგნზე ხელმისაწვდომობას. ამჟამად უნივერსიტეტში არის 300000-მდე წიგნადი ფონდი, რომელიც ნაწილობრივ არის აღწერილი, თუმცა არსებობს მიმართულებები, სადაც ყველა სტუდენტისთვის საკმარისი რაოდენობის წიგნი არ არის. სპეციალური აპლიკაცია მოგვცემს საშუალებას მოვძებნოთ წიგნი ბაზაში, გავიგოთ რა რაოდენობაა ხელმისაწვდომი, დაბრუნების ვადა და მოვითხოვოთ გატანა.

სასტიპენდიო და საშეღავათო პროგრამები

როცა ვსაუბრობდით რეიტინგებსა და ავტორიზაციაზე, აქ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ უცხოელმა ექსპერტებმა განსაკუთრებულად დადებითად შეაფასეს უნივერსიტეტის სასტიპენდიო და სოციალური პროგრამები. გვაქვს საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო სახელობის, კარგოსნების, სოციალურად დაუცველი წარჩინებული სტუდენტების, გაცვლით სასწავლო პროგრამების მონაწილეების სტიპენდიები. სოციალური შეღავათების მიმართულებით, დედ-მამით ობოლი სტუდენტები თავისუფლდებიან გადასახადისგან, სოციალურად დაუცველი, კარგი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან სწავლის გადასახადისათვის იღებენ თანადაფინანსებას. ასევე, უნივერსიტეტში მოქმედებს წარმატებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერის ფონდი.

სამომავლო გეგმები

გასული წლებისგან განსხვავებით წელს პირველად დავიწყეთ სტუდენტების ყველა ინტერესის გამოკითხვა და მონაცემთა ბაზის შექმნა. მოთხოვნის შესაბამისად ჩამოვაყალიბებთ კულტურისა და სპორტის მიმართულებით სხვადასხვა წრეს. საბედნიეროდ, ამის ფინანსური რესურსი გვაქვს. გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი საკმაოდ გაიზარდა და მიმდინარე წელს 22 მილიონს შეადგეს, შესაბამისად პროპორციულად გაიზარდა დაფინანსება ზემოთნახსენები მიმართულებითაც.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ მაქსიმალურად ვცდილობთ, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შევუწყოთ სტუდენტების დასაქმებას. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შეუძლიათ პორტალზე დარეგისტრირებული დამსაქმებელის მიერ გამოცხადებული ვაკანსიების მოძიება. სწორედ ამას ემსახურება მიმდინარე წლის შემოდგომის ბოლოს დაგეგმილი ფორუმის ჩატარება, რომელსაც დაესწრებიან პოტენციური დამსაქმებლები და სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნება კურსდამთავრებულთა და მრჩეველთა კლუბები.

მიმდინარე წლიდან სტუდენტებს შევთავაზებთ ტრენინგ-კურსებს. არაფორმალური განათლების ფარგლებში სტუდენტების მოთხოვნიდან გამომდინარე, ნებისმიერი მიმართულებით იქნება შესაძლებელი ტრენინგების ჩატარება.

(დასაწყისი მე-4 გვ.)

საზაფხულო სკოლები ბათუმის უნივერსიტეტში

დიპლომატიის საზაფხულო სკოლა

ბსუ-ში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით საზაფხულო სკოლა გაიხსნა თემაზე: „საქართველოს საგარეო პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე და მისი პრიორიტეტები“.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის მკვლევრებმა და ელჩებმა: მიხეილ უკლებამ, კონსტანტინე ჟღენტმა, მამუკა ციხელაშვილმა, ნიკოლოზ რთველიაშვილმა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელმა არჩილ ყარაულაშვილმა სტუდენტებისთვის ლექციები წაიკითხეს დიპლომატიის აქტუალურ საკითხებზე.

საჯარო ლექციებზე განიხილეს ისეთი თემები როგორიცაა: „თანამედროვე ქართული დიპლომატიის ისტორია (როგორ ყალიბდებოდა დამოუკიდებელი საქართველოს დიპლომატიური სამსახური, როგორ მყარდებოდა და ვითარდებოდა ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობები)“, „საქართველოს ეკონომიკური დიპლომატიის პრაქტიკულ ასპექტები“, „საქართველოს ინტეგრაციის პროცესი ევროატლანტიკურ სივრცეში: ევროკავშირი, ნატო“, „საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები გლობალური და რეგიონული უსაფრთხოების ასპექტში“ და „საქართველო-თურქეთის ურთიერთობები“.

დიპლომატებმა საზაფხულო სკოლის მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს. საზაფხულო სკოლაში ბსუ-ს სხვადასხვა ფაკულტეტის 50-მდე სტუდენტი მონაწილეობდა. სამი დღის განმავლობაში ელჩები ლექციებს კითხულობდნენ თანამედროვე ქართული დიპლომატიის ისტორიაზე, ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის პროცესზე, საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევებსა და მეზობელ ქვეყნებთან არსებულ ურთიერთობებზე.

ევროპული კვლევების ცენტრი

ევროპული კვლევების ცენტრი დაფუძნდა 2016 წელს ტემპუსის პროგრამის საგრანტო პროექტის INOTLES (Innovating Teaching and Learning in European Studies) და ბსუ-ს ერთობლივი ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერით. ცენტრი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ბაზაზე შეიქმნა და მის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების, ევროპული კვლევების და ზოგადად რეგიონთმცოდნეობის მიმართულებით გრანტების მოზიდვა, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება, ინოვაციური სწავლა-სწავლების მეთოდების შემუშავება და დანერგვა, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპისმცოდნეობის სპეციალობების სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის სასწავლო და სამეცნიერო ბაზის გამრავალფეროვნება. ცენტრი ასევე მნიშვნელოვანი არის სასწავლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის და გაცვლითი პროგრამების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

ამ მიზნის მისაღწევად პროგრამის ფარგლებში შეძენილი იქნა უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა, ცენტრი კი აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორით და სწავლებისთვის აუცილებელი თვალსაჩინო მასალებით.

ამ ეტაპზე ცენტრის ბიბლიოთეკაში თავმოყრილი არის რამდენიმე ათეული უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა ევროკავშირის ინტეგრაციის, პოლიტიკის, ევროპული სამართალის, ეკონომიკის და კულტურის შესახებ. გარდა ამისა, ბიბლიოთეკა შეიცავს სამეცნიერო პუბლიკაციების სერიას საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რეგიონში ამ მასშტაბის ბიბლიოთეკა ჯერჯერობით ერთადერთია. გარდა ამისა, იგეგმება ცენტრის კომპიუტერულ ტექნიკაში ელექტრონული ბაზების ჩატვირთვა, რომელიც კიდევ უფრო გაამდიდრებს სამეცნიერო-კვლევით ბაზას.

მომავალ წელს ბსუ უმასპინძლებს შავი ზღვის საერთაშორისო საზაფხულო სკოლას დიგიტალურ ჰუმანიტარიაში

24 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობდა VII საერთაშორისო საზაფხულო სკოლას დიგიტალურ ჰუმანიტარიაში, რომელიც გაიმართა ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით.

საზაფხულო სკოლის ფარგლებში ჩატარდა ლექციები, სემინარები და ვორკშოფები დიგიტალურ ჰუმანიტარიაში, კორპუსლინგვისტიკასა და დოკულინგვისტიკაში (ენისა და კულტურის ელექტრონულ დოკუმენტირებაში), რომლებსაც ქართველ ლექტორებთან ერთად უძღვებოდნენ ევროპელი სპეციალისტები და ექსპერტები: მანანა თანდაშვილი და სალომე გოლამი ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტიდან (გერმანია), სერგეი შაროვი, სოფიკო დარასელია და რობი ლოვი – ლიდსის უნივერსიტეტიდან (დიდი ბრიტანეთი).

თეორიული ნაწილი თემატურად მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა კორპუსების მორფოსინტაქსური და ჟანრული ანოტაციის საკითხებს, ენის ნაციონალური კორპუსების დიზაინსა და აგების პრინციპებს. ვორკშოფები კი მიეძღვნა ციფრული ჰუმანიტარიის ისეთი პროგრამული ინსტრუმენტებისა და სტანდარტების ათვისებას, როგორიცაა: ELAN, FLEX, XML და TEI.

საზაფხულო სკოლაში ქართველებთან ერთად (ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის) უცხოელი სტუდენტებიც იღებდნენ მონაწილეობას თურქეთისა და რუმინეთის უმაღლესი სასწავლებლებიდან. წელს პირველად საზაფხულო სკოლის მუშაობაში ჩართული იყვნენ სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევებიც შეიძინეს და ბოლო დღეს სტუდენტებთან ერთად წარმოადგინეს ჯგუფური სასერთიფიკატო მოხსენებები.

საზაფხულო სკოლის მესვეურთა გადაწყვეტილებით, მომავალ წელს იგეგმება სეზონური სკოლის მასშტაბების გაზრდა და ბსუ უკვე უმასპინძლებს შავი ზღვის საერთაშორისო საზაფხულო სკოლას დიგიტალურ ჰუმანიტარიაში.

ახალი ტექნოლოგიები – მომავლის მიზნები და ამოცანები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოების, აგრობიზნესის განვითარების პრობლემათა გადაჭრაში აქტიურად ჩართულობის მიღწევისათვის გამოუყო 1 160 000 ლარი, რომლითაც შეძენილი იქნა ანალიტიკური და გამზომი მოწყობილობა - დანადგარები, სხვა ლაბორატორიული და ტექნოლოგიური საშუალებები, რომელთა ტექნიკურ- ეკონომიკური მახასიათებლები შეესაბამებიან თანამედროვე სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის მიღწევებს. სწორედ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასა და მომავალ პერსპექტივებზე გვესაუბრება ინსტიტუტის დირექტორი, ბატონი რაულ გოცირიძე.

ინსტიტუტი ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი ინსტიტუტია საქართველოში, რომლის ძირითადი მიმართულებებია: აგრარული და სასურსათო ტექნოლოგიები; ბარომემბრანული და ელექტრომემბრანული ტექნოლოგიები; ქიმიური ანალიზისა და სურსათის უსაფრთხოების კვლევები. ცალკეულ სამეცნიერო განყოფილებას გააჩნია მრავალწლოვანი კვლევითი გამოცდილება.

უნივერსიტეტის მიერ ბოლო წლებში განხორციელებულმა სტრატეგიულმა კურსმა, რომელიც მიმართულია მასში შემავალი აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მატერიალურ- ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, საკადრო პოტენციალის რაციონალურად გამოყენებისათვის სათანადო გარემოს შექმნის, განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის პროცესის გაფართოებისაკენ, მნიშვნელოვნად აამაღლა როგორც მთლიანად ინსტიტუტის, ისე განყოფილების პოტენციალი მეცნიერული კვლევების მაღალ დონეზე ჩატარების, საპროექტო და დანერგვის სამუშაოების შესრულების თვალსაზრისით.

ტექნიკური ბაზის შექმნას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შეძენილი და პრაქტიკულად გამოყენებული ისეთი ტექნიკური საშუალებები. როგორიცაა:

1. პლაზმური ატომური ემისიური სპექტრომეტრი IჩP-9820- მაკრო და მიკრო ელემენტების განსაზღვრა: ნიადაგში, მცენარეულ ნიმუშებში და მათი გადამუშავების პროდუქტებში.

2. ვისკოზიმეტრი - თხევად პროდუქტებში , წვენებში სიბლანტის განსაზღვრა.

3. ელექტრონული რეფრაქტომეტრი მშრალი ნივთიერების განსაზღვრისათვის.

4. PH-მეტრი - METTLER TOLEDO_SEVEN COMPAD - თემატიკით გათვალისწინე- ბული ნიადაგისა და სხვადასხვა ასორტიმენტის საკვები პროდუქტებში აქტიური მჟავიანობის -ის განსაზღვრისათვის.

5. სპექტროფოტომეტრი - UV_1800 SHIMADZU - ფოსფორის განსაზღვრა ნიადაგში, მცენარეში და სხვადასხვა დასახელების ნედლეულში.

ავტომატური საცრების კრებული მჯღრეველათი

6. SOIL TEST-500-PALINTEST LEADERS IN VATER ANALYSIS TECHNOLOGU - კალიუმის, ფოსფორის, ამიაკური და ნიტრატული აზოტის, რკინის, ალუმინის, გოგირდის, სპილენძის, მაგნიუმის, მანგანუმის განსაზღვრისათვის.

7. საშრობი კარადა(თერმოსტატი)-IB --საანალიზო ნიმუშებში (მცენარე, ნიადაგი, ჩაი) ჰიგროსკოპიული წყლის, კარბონატების განსაზღვრისათვის.

8. სასწორი ანალიზური-0,0001 სიზუსტით, სასწორი ტექნიკური -METTER TOLEDO - (ნიადაგის, მცენარის, რეაქტივების სხვადასხვა ნედლეულის და პროდუქტების საანალიზო ნიმუშების ასაწონად.

9. ელექტრო საცრების კომპლექტი-AUTOSIEVE SHNAKE - ნიადაგის მექანიკური შედგენილობის განსაზღვრა, მცენარეული ნიმუშებისა და სხვა პროდუქტების დახარისხება.

10. ფოტომეტრი-003 - განკუთვნილია ხსნარებში ნივთიერებების შემცველობის კონცენტრაციის დასადგენად. ასევე შეიძლება გამოვიყენოთ სამრეწველო, ლაბორატორიულ და საველე პირობებში: ნიადაგის, კვების პროდუქტების და სხვა ობიექტების საანალიზოდ.

სხვადასხვა სახის ტექნოლოგიების შემუშავებას უზრუნველყოფს ტექნოლოგიური უბანი, რომელიც აღჭურვილია ცალკეული პროდუქტების დამზადების სრული ტექნოლოგიური ციკლის აპრობირების ტექნიკური მოწყობილობა დანადგარებით ,რაც საშუალებას იძლევა დამზადდეს პროდუქტების ნიმუშები, მოხდეს მათი დეგუსტაცია და შემუშავდეს წარმოებაში დანერგვის ტექნიკური დოკუმენტაცია, რეკომენდაციები და წინადადებები. უბანი აღჭურვილია ისეთი უნიკალური მოწყობილობებით, როგორიცაა, ფირფიტებიანი ფილტრი, ყურძნის საჭყლეტი კლერტგამცლელი, ბოთლის სარეცხი ავტომატი, ბოთლის ეტიკეტის დანადგარი, ხილის დამქუცმაცებელი, ხილის კურკისგამცლელი, პასტერიზატორი, დეაერატორი, ჰომოგენიზატორი, ჩამომსხმელი და დამხუფავი დანადგარები, ორთქლის წარმომქმნელი აპარატი, ვაკუმამაორთქლებელი და სხვა.

— რას გვეტყვით მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით ?

— მემბრანული ტექნოლოგიების კვლევითი ლაბორატორიები აღჭურვილია საქართველოს განათლების სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით შეძენილი ქიმიური ნაერთების და მასალების კვლევის თანამედროვე ლაბორატორიული ხელსაწყოებით (SHIMADZU-ს ფირმის ელემენტარული ანალიზატორი -ინდუქციურად შებოჭილი პლაზმის (ICP-ES), UV-VIS სპექტროფოტომეტრი; METTLER TOLEDO-ს ფირმისpH-მეტრი; AGILENT-ის ფირმის IR-სპექტრომეტრი; აირების ანალიზატორი; ლთლ-ის ფირმის მემბრანების ფორმირების და ფორიანობის განმსაზღვრელი აპარატები; რეფრაქტრომეტრები, ანალიზური სასწორები, კონდუქტომეტრი, პენეტრომეტრი, ვისკოზიმეტრი და სხვა).

უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე შესაძლებელია მაღალ დონეზე, თანამედროვე აპარატების გამოყენებით განხორციელდეს ქიმიური ნაერთების და მასალების კვლევა, სასწავლო პრაქტიკა, კვალიფიკაციის ამაღლება და სტაჟირება.

მემბრანული ტექნოლოგიების განყოფილებაში შესაძლებელია მაღალ დონეზე, თანამედროვე აპარატების გამოყენებით განხორციელდეს შემდეგი კვლევები:

* სასმელი, ზედაპირული და მიწისქვეშა მინერალური წყლების კვლევა; შემცველობა, ქიმიური (მათ შორის მძიმე მეტალებით) და მიკრობიოლოგიური დაბინძურების განსაზღვრა;

*ზღვის და ჩამდინარე წყლების კვლევა (ქიმიური და მიკრობიოლოგიური დაბინძურების განსაზღვრა);

*სოფლის მაცხოვრებლების, ფერმერების მიერ სასმელად და სარწყავად გამოყენებული წყლების კვლევა;

*მცენარეების კვლევა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების იდენტიფიკაციისთვის და შემცველობაზე;

*სხვადასხვა საკვები პროდუქტების, საკვები დანამატების (ბადი) და ნედლეულის ანალიზი (ალკალოიდების, ფენოლური ნაერთების, ვიტამინების, ნახშირწყლების, მძიმე მეტალების შემცველობა).

*ფოროვანი მასალების (მემბრანების, ფილტრების, ტექსტილის, უქსოვადი მასალების, დაპრესილი ფხვნილების) კვლევა;

*ნიადაგის აგრო-ქიმიური შემადგენლობის კვლევა;

ასევე, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების კვლევითი ინსტიტუტის ტექნოლოგიურ საამქროში დამონტაჟდა მინიტექნოლოგიური ხაზი (წვენის, ღვინის, მურაბის, კონსერვების კონცენტრატების წარმოებისთვის).

ქიმიური ანალიზისა და სურსათის უსაფრთხოების მიმართულებით რას გვეტყოდით? ქიმიური ანალიზისა დ ასურსათის უსაფრთხოების განყოფილება და მისი თანამშრომლები სრულად არიან ინტეგრირებული უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო პროცესში. განყოფილებაში უნივერსიტეტის მისიის და განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად ტარდება აჭარის მთავრობის მიერ დაფინანსებული 4 პროექტის კვლევითი სამუშაოები „აჭარის ზოგიერთი ადვენტური მცენარის ბიოაქტიური ნაერთების შესწავლა და მათი გამოყენების პერსპექტივები“, „დასავლეთ საქართველოს დაცული ტერიტორიების ზოგიერთი ენდემური მცენარის და ინტროდუცირებული ციტრუსოვნების ბიოაქტიური ნაერთების შესწავლა და მათი ქიმიური შედგენილობის შესაბამისად პასპორტიზაცია“, „დაბალკალორიული პროდუქტები და დამატკბობლები“, „პერსპექტიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ინ ვიტრო ბანკის შექმნა“. ასევე უნივერსიტეტის შიდა გრანტით „აჭარაში გავრცელებული ზოგიერთ ხეხილოვან მცენარეთა ნაყოფის ქიმიური შედგენილობის შესწავლა და მათი პასპორტიზაცია“, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული პროექტი „აჭარული სამზარეულოს პოპულარიზაციის მიზნით ადგილობრივი ტრადიციული კერძებისა და მათი ინგრედიენტების ქიმიური კვლევა-ანალიზის თანამედროვე ინსტრუმენტული მეთოდებით “ და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტი 216816 „საქართველოში წარმოებული თაფლისა და ღვინის ქიმიური შედგენილობის შესწავლა მწს ქრომატოგრაფირებით, ადგილმდებარეობის და სახეობრივი პასპორტიზაციის წესების დასადგენად“.

(გაგრძელება მე-10გვ.)

ყურძნის საჭყლეტი კლერტგამცლელი მოწყობილობა

(დასაწყისი მე-9 გვ.)

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ყველა საგრანტო პროექტში ჩართულია მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები, როგორც დამხმარე, ასევე ძირითადი პერსონალის სტატუსით, რაც უადვილებს მონაწილეებს საკვალიფიკაციო ნაშრომების კვლევითი კომპონენტის შესრულების ფინანსურ სიძნელეებს და შესაძლებელს ხდის შედეგების მაღალ-რეიტინგულ პუბლიკაციებში გამოქვეყნებას.

2018 წლის დასაწყისში დასრულდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტი FR/335/10-160/14 "დასავლეთ საქართველოში გავრცელებული კივის, ფეიჰოას, მოცვის

ფილტრაციული აპარატი

და სხვა კენკროვნების ნაყოფის ქიმიური შედგენილობის შესწავლა-მოკრეფის, შენახვის და შეფუთვის ოპტიმალური წესების დასადგენად"- შესწავლილი იქნა მაყვლის ველური და კულტურული ფორმის, ჟოლოს, ველური მოცვის და ლურჯი მოცვის ნაყოფების შენახვისას ქიმიური შედგენილობის ცვლილება. მიღებული შედეგების საფუძველზე მომზადდა ნედლეულის შენახვის რეკომენდაცია.

ასევე 2018 წლის დასაწყისში დასრულდაპ რეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული პროექტი „ქართული აგროპროდუქტის მნიშვნელობის გაზრდა ტურიზმის განვითარებაში". პროექტის ფარგლებში ჩატარდა ქიმიური კვლევები, გაკეთდა დასკვნები და რეკომენდაციების სახით ჩამოყალიბება. პროდუქტის სარგებლიანობისა და ანტიოქსიდანტური აქტივობის შესახებ.

ქსოვილის კულტურისა (ბიოტექნოლოგია) და მიკრობიოლოგიური კვლევების ლაბორატორიაში შემუშავდა მრავალი ადგილობრივი და ინტროდუცირებული მცენარის ქსოვილური გამრავლების ტექნოლოგია. შედგენილია რეგიონში მოწეული 200-ზე მეტი თაფლის, 50-მდე ავტოქტონური ყურძნის და მისგან წარმოებული ღვინის, ასევე 50-მდე ადგილობრივი ხილის პასპორტი და მიღებული შედეგების გამოყენებით მომზადებულია 10-მდე სტატია უცხოური მაღალ-რეიტინგული ჟურნალებისათვის.

ტრადიციად ქცეული კონფერენცია

31 აგვისტოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა" გაიხსნა. ტრადიციად ქცეულ რიგით მე-9 კონფერენციაში სხვადასხვა სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრის არაერთი წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის უცხოელებიც. კონფერენცია პირველ სექტემბერს დასრულდა და ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ აკადემიკოს გურამ ლორთქიფანიძის 80 წლის იუბილე აღინიშნა.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი როინ მალაყმაძე, პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე. ამავე დღეს, კონფერენციის ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის აკადემიური პრემია გადაეცა ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორებს.

„კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები ეხება ქალაქის ისტორიის, კულტურის, არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის, ტურიზმის განვითარების, ჯანდაცვის და საქალაქო ცხოვრების სხვა საკითხებს. ფორუმის ყოველწლიური მუშაობის შედეგად გროვდება და სამეცნიერო მიმოქცევაში შედის წონადი მასალა ბათუმის შესახებ, იკვეთება სამომავლო განვითარების ახლებური ხედვები და სარეკომენდაციო წინადადებები, ჩამოსული სტუმრების საშუალებით სერიოზული პოპულარიზაცია ეწევა ბათუმს, როგორც დიდი წარსულისა და პერსპექტიული მომავლის ქალაქს.

2012 წლიდან აღნიშნული კონფერენციის ჩატარებისა და კონფერენციის მასალების ბეჭდური სახით გამოცემის ხარჯებს უზრუნველყოფს ქალაქ ბათუმის მერია სახალხო ზეიმის „ბათუმობა" ფარგლებში, რამაც უკვე დამკვიდრებული ტრადიციის სახე მიიღო. 2012-2017 წლებში ასეთი თანამშრომლობის ფორმატში ჩატარდა ექვსი (III-IV-V-VI-VII-VIII) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, შესაბამისად, დაიბეჭდა ამდენივე კონფერენციის მასალათა კრებული, რისთვისაც ქალაქ ბათუმის მერიას გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ", – საუბრობს კონფერენციის მნიშვნელობაზე პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე.

კონფერენციის მუშაობა 2 სექციად გაიყო, სადაც წარმოდგენილი იყო არაერთი საინტერესო მოხსენება სხვადასხვა თემატიკასთან მიმართებაში. საკონფერენციო თემების აქტუალობას ცხადყოფდა გამომსვლელთა მიმართ დასმული კითხვების სიმრავლე.

ცოტა რამ კონფერენციის წარსულიდან. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა" 2009 წელს ჩატარდა და მისი სულის ჩამდგმელი პროფესორი მალხაზ სიორიძე გახლდათ. მეცნიერ-მკვლევართა მესამე და შემდგომ შეკრებებს პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე ხელმძღვანელობს. ადგილობრივების გარდა, კონფერენციებში დღემდე აქტიურად მონაწილეობენ უცხოეთის წარმომადგენლებიც.

კონფერენციების მასალათა კრებულები უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და ეს სულაც არაა გასაკვირი, რადგან ბათუმის ისტორია უკავ¬შირდება ჩვენი ქვეყნის შორეულ და უახლოეს წარსულს, აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთით დიდ იმპერიათა დაინტერესების ხანას და მათთან ჩვენი რეგიონის ინტენსიურ საგარეო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ახლა, როცა ქალაქი ბათუმი ახალ აღმავლობასა და განვითარებას განიცდის და უმნიშვნელოვანეს შავიზღვისპირა საპორტო-საკურორტო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად იქცა, კიდევ უფრო აქტუალური ხდება მისი წარსულისა და დღევანდელობის შესწავლა-განზოგადება – ქალაქის მომავალი განვითარების უკეთ გააზრებისათვის.

ბათუმი საინტერესოა არა მარტო როგორც წარსულის განსაკუთრებული ისტორიული ბედის მქონე ქალაქი, არამედ მომავლისათვის უდიდესი პერსპექტივის საერთაშორისო დანიშნულების მატარებელი საკვანძო არტერია, რომლის მეშვეობითაც მოსალოდნელია წარიმართოს ბიზნეს–ურთიერთობები მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში, განსაკუთრებით კი იგი შეიძლება იქცეს მისი აზიური ნაწილის ევროპასთან და, საერთოდ, დასავლეთის სამყაროსთან დამაკავშირებელ უმნიშვნელოვანეს ცენტრად. ამიტომაც, მისი წარსული ისტორიის, დღევანდელი არსებობის თუ სამომავლო განვითარებისათვის აუცილებელი ყველა კომპონენტი სათანადოდ უნდა იქნას გააზრებული და მისი საუკეთესო პერსპექტივის შესაქმნელად გამოყენებული.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა თავის დროზე ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის დაფუძნება.

ინოვაციური მიდგომები თანამედროვე საინჟინრო სწავლებაში

საინტერესო და მნიშვნელოვან სიახლეს ჩაეყარა საფუძველი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ტექნოლოგიური ფაკულტეტის ბაზაზე ინოვაციების ცენტრი გაიხსნა. ცენტრი რასმუს+"-ის საგრანტო პროექტის - „InnoCENS Project" (Enhacing Innovation Competencesand Entrepreneurial Skillsin Engineering Education - ინოვაციური კომპეტენციებისა და სამეწარმეო უნარების ამაღლება საინჟინრო განათლებაში) ფარგლებში შეიქმნა და მიზნად ისახავს საინჟინრო სწავლებაში თანამედროვე სამეწარმეო მიდგომების დანერგვას, ინოვაციური კომპეტენციების განვითარებას, სტარტაპებისა და სპინოფების ჩამოყალიბებას.

ინოვაციების ცენტრში შეისწავლება:

- გუნდის ჩამოყალიბებისა და მოვალეობების გადანაწილების თანამედროვე პრინციპები;
- მენტორობის განხორციელების ფორმები;
- თანამედროვე სამეწარმეო მიდგომები საინჟინრო სწავლებაში;
- ინოვაციური კომპეტენციების განვითარების ხერხები;
- სამეწარმეო საქმიანობაში ინოვაციების დანერგვის საკითხები;
- ინოვაციური იდეებისა და პროექტების დაფინანსების წყაროების მოძიების საშუალებები;
- სტარტაპებისა და სპინოფების ჩამოყალიბება.

ამ და სხვა მნიშვნელოვან სიახლეებზე ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, ბატონი გიზო ფარცხალაძე საუბრობს:

— ბატონო გიზო, თქვენი ფაკულტეტი აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში, გვიამბეთ განხორციელებულ აქტივობებზე...

— ბსუ მონაწილეობს რასმუს+"-ის საგრანტო პროექტში -„InnoCENS Project"-ში, რომელიც შეეხება ინოვაციური კომპეტენციებისა და სამეწარმეო უნარების ამაღლებას საინჟინრო განათლებაში (ნჰაცინგ Iნნოვატიონ ჩომპეტენცესანდ ნტრეპრენეურიალ შკილლსინ ნგინეერინგ დუცატიონ).

ამ პროექტის ფარგლებში სამუშაო ჯგუფი იმყოფებოდა სხვადასხვა ქვეყანაში. ევროპის მოწინავე უნივერსიტეტებში მოხდა ინოვაციების ცენტრების მუშაობის ძირითადი პრინციპების შესწავლა. შეხვედრები ჩატარდა ესპანეთში ვალენსიის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში (UPV), 2017 წლის აპრილ-მაისი; შვედეთში, სტოკჰოლმის სამეფო ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში (KHT), 2017 წლის ივნისი; ფინეთში, ტურკუს გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტში (TUAS), 2017 წლის სექტემბერი; ბელორუსიაში, მინსკში, ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტში (BSU), 2017 წლის დეკემბერი; ყაზახეთში, ტარაზის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2018 წლის აპრილი; ბელორუსიაში, მინსკისა და ბრესტის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, 2018 წლის ივნისი და ბოლოს, ისევ ესპანეთში, ვალენსიის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში (UPV), 2018 წლის სექტემბერი.

ინოვაციების ცენტრში ინოვაციური პედაგოგიკის თანამედროვე პრინციპებით განხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- კვლევითი ინკუბატორების მუშაობის ძირითადი პრინციპების გამოყენებით სამუშაო ჯგუფების ფორმირება;
- ჯგუფში მუშაობის წარმართვა ინოვაციური პედაგოგიკის ძირითადი პრინციპების გამოყენებით;
- FINCODA-ს კომპიუტერული სისტემის - „ფინკოდა ბარომეტრით" განვითარდება და შეფასდება ინოვაციური კომპეტენციები;
- კომპიუტერული სისტემის - HEIN-NOVATIVE-ის გამოყენებით შეისწავლება და შეფასდება საგანმანათლებლო პროგრამის, სასწვლო ჯგუფებისა და სხვა ინსტიტუციების ინოვაციური პოტენციალი;
- ინოვაციური პედაგოგიკის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით მომზადებული სილაბუსების (მეწარმეობა ინჟინრებისათვის, ინოვაციური სისტემები) მიხედვით ჩატარდება ლექციები.

— რამდენადაა ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების მიზნებთან შესაბამისობაში ინოვაციების ცენტრი?

— მიმდინარე პროექტი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიზნებთან. კერძოდ, პროექტი ხელს უწყობს თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტის ჩამოყალიბებას, რომელიც იქნება აღჭურვილი თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი უნარებით. დღეისათვის, ცივილიზებულ თანამედროვე სამყაროში, კონკურენტუნარიანი პროექტების შექმნის ერთადერთი გზა არის ახალი იდეების ჩამოყალიბება სტარტაპებისა და სპინოფების შექმნის გზით, რომლებიც უნდა მომზადდეს ინოვაციების ცენტრებში. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ქვეყანა და შესაბამისად, ჩვენი უნივერსიტეტიც დროულად შეუერთდა ამ ახალ იდეას. სწორედ ამ გზით მოხდება ახალი თანამედროვე საინტერესო იდეების გენერირება.

ჩვენი სურვილი იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც განხორციელებულიყო მსგავსი პროექტი. ამიტომ, როდესაც ხდებოდა Innosenc-ის საგრანტო პროგრამის წარდგენა, ჩვენი გუნდის წევრებმა, რომლებსაც გვქონდა შესაბამისი კომპეტენციები, გამოვთქვით სურვილი ამ პროგრამაში მონაწილეობაზე.

პროგრამის გამარჯვება ჩვენთვის არის ახალი გამოწვევა. ეს იძლევა საშუალებას მოვძებნოთ გზები ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად და შესაბამისად, ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებლის შესამცირებლად, ასევე მიგვეცა ახალი იდეების წამოყენებისა და თვითრეალიზაციის საშუალება პროფესორებისათვის, სტუდენტებისათვის, მეცნიერ-თანამშრომლებისათვის და ბიზნესით დაინტერესებულ პირთათვის.

მიმაჩნია, რომ ინოვაციური აზროვნების დანერგვა ყველაზე ეფექტურად ბავშვებში შეგვიძლია. ამიტომ, სურვილი მაქვს ინოვაციური ცენტრის ჯგუფის წევრებთან ერთად შემდგომში მოვამზადოთ და განვახორციელოთ ტრენინგების კურსი „ინოვაციური აზროვნება" სკოლის მოსწავლეებისათვის. ტრენინგებზე ბავშვები გაეცნობიან მოწინავე გამოცდილებებს, შეისწავლიან მეწარმეობის საფუძვლებს, იმუშავებენ პრობლემების გამოვლენასა და მათი მოგვარების გზების მოძიებაზე.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს ახალი კაბინეტ-ლაბორატორიებით ხვდება.

ფარმაკოგნოზიის ლაბორატორია

ფარმაციის სპეციალობის სტუდენტები IV და V სემესტრში სწავლობენ - ფარმაკოგნოზიას, რომელიც წარმოადგენს ფარმაცევტული დარგის მაპროფილებელ საგანს. ფარმაკოგნოზია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მცენარეული წარმოშობის სამკურნალწამლო ნედლეულს და მათი გადამუშავების პროდუქტებს. კურსის გავლისას სტუდენტები სწავლობენ სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დამზადების, პირველადი გადამუშავების, შრობისა და შენახვის წესებს, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის იგივეობისა და კეთილხარისხოვნების ზოგიერთი მაჩვენებლის დადგენის მეთოდებს, ფარმაცევტულ ანალიზში სახელმწიფო სტანდარტებისა და ნორმატიულ–ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენებას, სამკურნალო მცენარეული ნედლეულისა და მისგან დამზადებული პრეპარატების სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების თეორიული ასპექტებს.

კურსი მოიცავს სალექციო და ლაბორატორიულ მეცადინეობებს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ფარმაკოგნოსტული კვლევების უნარების ჩამოყალიბებას, რაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისად აღჭურვილი ლაბორატორიის არსებობას. ამიტომ დიდი სიხარულით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს უნივერსიტეტში შეიქმნა ფარმაკოგნოზიის ლაბორატორია, რომელიც პირველ ეტაპზე აღიჭურვა იმ აუცილებელი აპარატურით, რომლითაც შესაძლებელია სამკურნალო მცენარეული ნედლეულის იდენტიფიკაცია და ანატომიური კვლევა. სტუდენტებს ეძლევათ მიკროსკოპული კვლევების ჩატარების შესაძლებლობა, ასევე, მოახდინონ მცენარეული ნედლეულის თბური შრობა, დაამზადონ შესაბამისი მცენარეული სამკურნალწამლო ნედლეული, შექმნან მწვანე აფთიაქი, რომელიც ასევე უზრუნველყოფილია შესაბამისი ინვენტარით. მწვანე აფთიაქის შევსება და გადახალისება მოხდება ყოველწლიურად სასწავლო საველე პრაქტიკების დროს. აქვე არის გამოყოფილი ფართი თეორიული მეცადინეობების ჩასატარებლად.

ფარმაკოგნოზიის ლაბორატორია ასევე მოემსახურება ფარმაცევტული დარგის საბაზისო დისციპლინის - ფარმაცევტული ბოტანიკის შესწავლას, სადაც სტუდენტებს ეძლევათ საშუალება მიკროსკოპის საშუალებით მცენარეული ორგანოების ანატომიური კვლევების ჩატარებისა.

ფარმაკოგნოზიის ლაბორატორიით ისარგებლებენ აგრეთვე ბიოლოგიისა და ეკოლოგიის II კურსის სტუდენტები, რომლებიც გადიან ბოტანიკის კურსს, კერძოდ მცენარეთა ანატომიის საკითებს.

გამოვთქვამ იმედს, რომ ლაბორატორია იმუშავებს მთელი დატვირთვით, ხოლო მომდევნო წლებში მოხდება მისი შევსება საჭირო ხელსაწყო-აპარატურით როგორც მიკროსკოპული, ისე ფიტოქიმიური ანალიზების ჩასატარებლად.

ბიოტექნოლოგიების ლაბორატორია

თანამედროვე ბიოტექნოლოგია ანუ ბიოლოგიური ტექნოლოგია - სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესის ახალი მიმართულებაა, რომელიც უკანასკნელ პერიოდში ძალიან პოპულარულია. მის წარმატებებს განსაკუთრებული ინტერესით ადევნებენ თვალყურს როგორც მეცნიერებები, ასევე სრულიად განსხვავებული სპეციალობის ადამიანებიც.

ბიოტექნოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მცენარეთა იზოლირებული ქსოვილების კულტურებზე აგებული ტექნოლოგიები, რომელთაც მსოფლიოს ყველა ბიოტექნოლოგიურ პროგრამაში მოწინავე ადგილი უჭირავს. ეს მცენარეთა არაჩვეულებრივად ფართო დიაპაზონის ბიოქიმიური ,,მოღვაწეობის" შედეგია.

ქსოვილური კულტურის გამოკვლევები ერთის მხრივ, დაკავშირებულია კულტივირებული მცენარეული უჯრედის ბიოლოგიურ კვლევასთან, მეტაბოლიზმის, ზრდის, დიფერენცირების, მისთვის დამახასიათებელი გენეტიკური და ეპიგენეტიკური თავისებურებების შესწავლასთან, მეორეს მხრივ - მიზნად ისახავს მემცენარეობაში სასოფლო-სამეურნეო სელექციასა და ეკოლოგიურ ბიოტექნოლოგიაში წარმოქმნილი რთული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას. ეკონომიურად და ეკოლოგიურად ეფექტური ხერხია ინ ვიტრო კულტურაში მცენარეთა მიკროკლონებით გამრავლება.

პრაქტიკაში გამოყენებული გამრავლების ტრადიციული მეთოდებისაგან განსხვავებით კლონალური მიკროგამრავლება რიგი უპირატესობებით გამოირჩევა:

1. მოკლე ვადაში შეგვიძლია მივიღოთ დიდი რაოდენობით მცენარეთა სარგავი მასალა. გამრავლების კოეფიციენტი მიკროკლონარული გამრავლების დროს საკმაოდ მაღალია სელექციურთან შედარებით;

2. მცენარეთა ზრდა-განვითარება მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში, რაც მნიშვნელოვანია იმ ფორმებისათვის, რომელთა განვითარების ციკლში არის შესვენების პერიოდები;

3. ინ ვიტრო გამრავლება ძალიან ეკონომიურია. ათასობით მცენარე შეიძლება განვითარდეს ლაბორატორიაში პატარა ფართობზე, კლიმატურ კამერებში და ამით შემცირდეს გრუნტში სარგავი მასალის განლაგების ფართობები, ცვლის და ამცირებს სადედე ნაკვეთებს დაკალმებით გამრავლების დროს;

4.გამრავლებასთან ერთად ხდება მცენარეების გაჯანსაღება. In ვიტრო კულტურაში მცენარეები თავისუფლდებიან პათოგენი მიკროორგანიზმებისა და ვირუსებისაგან, ნაკლებია რისკი მცენარის ხელახალი დასნებოვნებისა გრუნტში. სარგავი მასალის გაჯანსაღება ამაღლებს პროდუქციის ეკოლოგიურ ხარისხს. დიდი მნიშვნელობა აქვს მიღებული სარგავი მასალის ეკოლოგიურ და მორფოგენეტიკურ ერთგვაროვნებას, რომლის რეგულირება ადვილად შეიძლება ინ ვიტრო კულტურაში;

ქსოვილური კულტურის გამოკვლევები მიზნად ისახავს მემცენარეობაში სასოფლო-სამეურნეო სელექციასა და ეკოლოგიურ ბიოტექნოლოგიაში წარმოქმნილი რთული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას

5.ქსოვილური კულტურის მეთოდით შესაძლებელია იმ მცენარეთა გამრავლება, რომლებიც საერთოდ არ მრავლდებიან ვეგეტატიურად.

6. იუვენილური ფაზიდან გამოსვლის გარეშე მცენარეთა გამრავლების შესაძლებლობა;

7. სინჯარის მცენარეების ხანგრძლივი შენახვის შესაძლებლობა და ძვირფასი, იშვიათი და გადაშენების პირას მისული მცენარეების „ბანკის" შექმნა;

8. სინჯარის მცენარეების, როგორც მცენარეული მასალის, გაცვლა საერთაშორისო მასშტაბით საკარანტინო მავნებლებისა და დაავადებების შემოტანის რისკის გარეშე;

9. მცენარეთა ტრანსპორტირების მოხერხებულობა.

აღნიშნული მეთოდი უკვე ფართოდაა დანერგილი ჩვენს უნივერსიტეტში.

ქსოვილური კულტურის ლაბორატორიის არსებობის ათი წლის მანძილზე აქ შესრულდა სხვადასხვა საგრანტო პროექტი, სამი სადისერტაციო და ორ ათეულზე მეტი სამაგისტრო ნაშრომი. საყურადღებო შედეგები აქვთ აქ მომუშავე მაგისტრებს. ბაკალავრიატის სტუდენტები ეუფლებიან ლაბორატორიაში მუშაობის პრინციპებს.

2017-2018 სასწავლო წლებში ლაბორატორიები განახლდა ფაკულტეტის დეკანის ქალბატონ მარინა ქორიძის და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. შევიძინეთ თანამედროვე ახალი აპარატურა და ლაბორატორიული აღჭურვილობა.

იმუნოგენეტიკის ლაბორატორია

უნივერსიტეტი სასწავლო წელს კიდევ ერთი განახლებული სასწავლო ლაბორატორიით ხვდება. იმუნოგენეტიკის ლაბორატორიის შექმნა პროფესორ ანზორ დიასამიძის სახელთანაა დაკავშირებული, რომელსაც უძღვებოდა მის მიერვე აღზრდილ მკვლევართა ჯგუფთან და ახალგაზრდა მეცნიერებთან ერთად. თავდაპირველად ლაბორატორიას მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი დანიშნულება ჰქონდა. ლაბორატორიის ბაზაზე განხორციელდა საინტერესო კვლევები გენეტიკური მარკერების მიხედვით დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის პოპულაციური თავისებურებების შესწავლის მიმართულებით. მოგვიანებით ლაბორატორიამ პროფილი შეიცვალა და ამჟამად აქ აქტიურად მიმდინარეობს სასწავლო პროცესიც. მიუხედავად იმისა, რომ იმუნოგენეტიკის ლაბორატორია 15 წელზე მეტია ფუნქციონირებს, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, პერიოდულად საჭიროებს მოდერნიზაციას. მიმდინარე წელს ლაბორატორია შეივსო ახალი, თანამდეროვე აპარატურით, რაც უდავოდ გააუმჯობესებს სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესებს;

ლაბორატორია ბიოლოგიისა და მედიცინის დაახლოებით 400 ქართველ და უცხოელ სტუდენტს ემსახურება

ლაბორატორიაში ტარდება მოლეკულური ბიოლოგიის, გენეტიკის, იმუნოლოგიის, ემბრიოლოგიის ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები და ბიოლოგიისა და მედიცინის დაახლოებით 400 ქართველ და უცხოელ სტუდენტს ემსახურება. ლაბორატორიის ბაზაზე ხორციელდება სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო დონის კვლევები. შესრულებულია ოთხი სადოქტორო, 60-ზე მეტი სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომი. ლაბორატორიის მოდერნიზაცია სტუდენტთა კვლევების ხარისხის ამაღლების კარგ შესაძლებლობას იძლევა.

ამავდროულად, ბიოლოგიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი ამ ბაზაზე სამეცნიერო კვლევებსაც აწარმოებს. იმუნოგენეტიკის ლაბორატორიის ბაზაზე შესრულდა არაერთი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი, მიმდინარე საგრანტო პროექტით–რასმუს+573533--1-2016-1-2-ჩუ"ცტიონ ღესეარცჰტოინნოვატე შციენცე თეაცჰინგანდცარიერორიენტატიონ" ლაბორატორია აღიჭურვა დამატებითი აპარატურით.

სადღეისოდ ლაბორატორია აღჭურვილია სხვადასხვა თანამედროვე ტექნოლოგიებით, როგორიცაა: ბიოუსაფრთხოების კაბინეტი, მიკროსკოპი-ხიოპლან 2, ფოტოკამერით (არლძეისს-მწარმოებელი); მიკროსკოპი ჩ ეკრანით; ბიდისტილატორი; მაცივარი (-20 და -700 ჩ); პჯრკაბინეტი; პჯრამპლიფიკატორი; ჰორიზონტალური და ვერტიკალური სისტემის გელ-ელექტროფორეზის აპარატი; მექანიკური და ელექტროპიპეტები; ჰ-მეტრი; ცენტრიფუგა; წყლისაბაზანა; თერმოსტატი; დისტილატორი და სხვა.

თანამედროვე ტექნოლოგიები, ფაკულტეტის პროფესორებისა და ახალგაზრდა მკვლევარების უცხოელ კოლეგებთან ინტეგრირებისა და კოლაბორაციისსაშუალებას იძლევა, რაც საფუძვლად უნდა დაედოს უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერებას და განვითარებას.

რედაქტორი
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი
ნესტან მამუჭაძე



გაზეთი დაიბეჭდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში